



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №40/3

2018 წლის 25 მაისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹-ე, 106²-ე და 106⁵-ე მუხლების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა :

1. „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 2 ივლისი.
3. „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 22 ივნისი, 18:00 საათი.
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დადგენილების პროექტისა და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის საჯაროდ გამოქვეყნება.
5. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს,

უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.
8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

